№ 113 1 თ-ბათვე, პარასკევი 1866—1879 1 თიბათვე, პარასკევი № 113

# დროება

ᲣᲚᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲠᲐᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ მიიღება რედაქციაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: მთელის წლისა—8 მან., ნახევარწლისა—5 მ.ნ., სამისთვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

Ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ: დიდ-ბასტებთ ახოზე—1 კაპ., ერთ-ერთ სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცხელოთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდებ.

ᲣᲚᲕᲔᲚ-ᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

## „ᲓᲠᲝᲔᲑᲐ"

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ მიიღება თფილისში რედაქციის კანტორაში (ბაღის (სადოვი) ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლებში, № 33).

ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲛᲬᲔᲠᲔᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲓᲠᲔᲡᲘᲡ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба".*

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ

| | |
|---|---|
| მთელის წლისა — — | 8 მან. |
| ექვსის თვისა — — — | 5 „ |
| სამის თვისა — — — | 3 „ |
| ერთის თვისა — — — | 1 „ |

ᲮᲕᲔᲓᲠᲘ ᲤᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲐᲜᲐᲕᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲥᲛᲜᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ ᲨᲔᲛᲝᲢᲐᲜᲘᲚᲘ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲛ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲚᲔᲕᲐᲛᲓᲘᲜ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲮᲣᲗ ᲛᲐᲜᲔᲗᲐᲓ ᲓᲐ ᲐᲗ ᲨᲐᲣᲠᲐᲓ.

---

ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲓ ᲕᲠᲐᲪᲮᲗ ᲒᲐᲛᲝᲪᲕᲐᲪᲮᲐᲓᲝᲗ ᲘᲛ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝᲑᲘᲗ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡᲐᲛ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲨᲘ ᲛᲘᲓᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲝᲑᲝᲗ ᲐᲓᲠᲔᲡᲘᲡ ᲘᲪᲕᲚᲘᲐᲜ, ᲠᲝᲛ, ᲗᲣ ᲭᲡᲣᲠᲗ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲐᲮᲐᲚᲘᲡ ᲐᲓᲠᲔᲡᲘᲗ ᲛᲘᲘᲦᲝᲗ, ᲔᲠᲗᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲢᲐᲜᲝᲗ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ.

---

ᲕᲘᲡᲐᲪ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲤᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ 4 ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲢᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲛᲝᲣᲢᲐᲜᲘᲐᲗ, ᲘᲛᲐᲗ, ᲗᲣ ᲔᲠᲗ ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡᲐᲪ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲘᲐᲗ, ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲐᲛ 1 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲛ ᲛᲝᲔᲡᲞᲝᲑᲐ.

---

## ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ

(„ᲮᲐᲚᲮᲗᲐ-ᲨᲝᲠᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡᲘ")

**ᲙᲝᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, 29 მაისს.** ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ „ᲜᲝᲔᲛᲘ ᲕᲠᲔᲛᲘᲐᲨᲘ" ᲬᲔᲠᲔᲑᲘᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲒᲣᲨᲘᲜ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲗ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔᲡ ᲡᲝᲚᲝᲕᲘᲔᲕᲡ ᲐᲚᲠᲩᲝᲛᲑᲓᲜᲔᲜ, ᲘᲛᲐᲜ ᲣᲐᲠᲘ ᲡᲗᲥᲕᲐ ᲐᲚᲡᲐᲠᲔᲑᲐᲖᲔᲓ. ᲓᲐ ᲛᲦᲕᲔᲚᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲙᲐᲠᲐᲝ. ᲒᲐᲜᲐᲩᲘᲜᲘ ᲠᲝᲛ ᲬᲐᲣᲙᲘᲗᲮᲔᲡ ᲓᲐ ᲔᲨᲐᲭᲝᲢᲖᲔ ᲐᲘᲧᲕᲐᲜᲔᲡ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲛᲦᲕᲔᲚᲘ ᲛᲘᲣᲐᲮᲚᲝᲓᲐ, ᲡᲝᲚᲝᲕᲘᲔᲕᲛᲐ ᲓᲐᲘᲧᲕᲘᲠᲐ: „ᲐᲠ ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲐᲠ ᲛᲘᲜᲓᲐ!" ᲡᲐᲦᲠᲩᲝᲑᲔᲚᲐᲖᲔᲓ ᲡᲝᲚᲝᲕᲘᲔᲕᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠ ᲡᲐᲐᲗᲡ ᲔᲙᲘᲓᲐ; ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲔᲥᲘᲛᲔᲑᲛᲐ ᲨᲔᲐᲛᲝᲬᲛᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲙᲔᲓᲐᲠᲘᲐᲝ, ᲩᲐᲓᲔᲕᲔᲡ ᲙᲣᲑᲝᲨᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲐᲛᲐᲠᲮᲐᲕᲐᲓ ᲬᲐᲘᲚᲔᲡ.

**ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 27 მაისს.** Თ. ᲑᲘᲡᲛᲐᲠᲙᲘ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲔᲒᲕᲘᲞᲢᲘᲡ ᲕᲘᲪᲔ-ᲙᲝᲠᲝᲚᲚᲘᲡ (ᲥᲔᲓᲘᲕᲘᲡ) ᲔᲠᲝᲠᲝᲞᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲗᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲔᲡᲗ ᲛᲨᲕᲠᲣᲜᲕᲔᲚᲝᲑᲐ. ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒᲘ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲑᲘᲡᲛᲐᲠᲙᲘᲡᲐᲝ.

**ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲑᲘᲠᲭᲐ, 29 მაისს.**

(ᲮᲐᲚᲮᲗᲐ-ᲨᲝᲠᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡᲘ)

| ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲑᲘᲚᲔᲗᲔᲑᲘ: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემის — | 96— | „ |
| მეორე— — — — — | 95— | „ |
| მესამესი — — — — | 95— | „ |
| მეოთხესი — — — — | 95— | „ |
| ᲐᲚᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲞᲘᲠ. — | 92— | 75 |
| ᲐᲚᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ— | 93— | „ |
| ᲐᲚᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ, ᲛᲔᲡᲐᲛᲔ— | „— | „ |
| ᲠᲣᲡᲘᲐ, ½ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐᲚᲘ— | 8— | 47 |
| ᲗᲤᲘᲚ. ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜ. ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲒᲘᲠᲐᲝᲡ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘ — | 94— | 93 |

ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘ 5% ᲡᲔᲡᲮᲘᲡ ᲑᲘᲚᲔᲗᲔᲑᲘ

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 241— | 75 |
| მეორე სესხის — — — | 238— | „ |

1 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — — | 23— | 70 ᲞᲔᲜᲡᲘ |
| ᲐᲛᲡᲢᲔᲠᲓᲐᲛᲘ— — | 119— | 50 ᲪᲔᲜᲢᲘ |
| ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ— — — | 200— | 75 ᲞᲤᲔᲜᲘᲒᲘ |
| ᲞᲐᲠᲘᲖᲘ — — — | 248— | 75 ᲡᲐᲜᲢᲘᲛᲘ |
| ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲙᲔᲠᲐᲡᲘᲜᲘ | — „ | — „ |

---

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

### Თ. ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲡ ᲫᲔ ᲛᲘᲛᲬᲔᲚᲐᲫᲔ.

ᲛᲝᲬᲧᲐᲚᲔᲗ ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔᲑᲘ!

ᲛᲔᲡᲛᲐ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲝᲠᲛᲝᲩᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲨᲔᲑᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲗᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡᲐ.

ᲓᲘᲓᲐᲓ ᲐᲛᲘᲦᲔᲚᲔᲗᲐ ᲒᲣᲚᲘ ᲛᲔ ᲛᲝᲬᲣᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲛ ᲐᲛᲑᲐᲕᲘᲗ.

ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ᲫᲕᲔᲚᲗᲐᲒᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘ: ᲫᲐᲚᲐ ᲐᲚᲛᲐᲠᲗᲡᲐ ᲰᲑᲜᲐᲕᲡ; ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲔ ᲕᲡᲬᲣᲮᲕᲐᲠ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ. ᲫᲛᲐᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲩᲕᲔᲜᲜᲘ,—ᲛᲔᲪᲮᲠᲐᲛᲔᲢᲔ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲡ ᲓᲐᲛᲚᲔᲕᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲜᲘ, ᲓᲐ ᲠᲐᲗ ᲓᲐᲔᲛᲐᲠᲗᲐᲗ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲓᲐᲣᲮᲔᲓᲐᲕᲝᲑᲐ?

ᲡᲐᲛᲐᲡᲘ ᲙᲐᲪᲘ, ᲣᲛᲐᲚᲚᲔᲡᲘ ᲒᲝᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲘᲜᲔᲚᲜᲘ, ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲬᲐᲠᲘᲢᲐᲪᲝᲡ ᲒᲣᲚᲘᲡ ᲡᲘᲤᲘᲪᲮᲔᲛ?

ᲥᲐᲪᲛᲐ ᲗᲣ ᲡᲐᲥᲕᲔᲧᲜᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲡ ᲧᲣᲠᲘ ᲠᲘᲒᲘᲐᲜᲐᲓ ᲐᲗᲮᲝᲕᲐ, ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲛ ᲔᲠᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲕᲔ ᲮᲛᲐᲡ ᲒᲐᲘᲒᲝᲜᲔᲑᲡ: ᲜᲣ ᲩᲥᲐᲠᲝᲑᲗ!

ᲐᲩᲥᲐᲠᲔᲑᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲓᲔᲒᲘ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲛᲝᲧᲕᲐᲡᲡ ᲨᲔᲛᲬᲧᲝᲑᲐ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲜᲡᲐᲪᲓᲔᲚᲡ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲡ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲓᲐᲣᲓᲔᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲐᲠ ᲬᲐᲬᲧᲛᲓᲔᲡ.

ᲨᲝᲕᲔᲚᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲕᲐᲙᲕᲘᲠᲓᲔᲑᲝᲓᲔᲗ, ᲩᲐᲣᲤᲘᲥᲠᲓᲔᲑᲝᲓᲔᲗ.

ᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲡᲜᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲫᲛᲔᲜᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲡ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲐᲙᲕᲘᲠᲓᲔᲑᲘᲐᲜ, ᲩᲐᲣᲤᲘᲥᲠᲓᲔᲑᲘᲐᲜ, ᲓᲐᲛᲨᲕᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲝᲜᲔᲑᲐ ᲠᲐᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲡ?

—ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲩᲘᲩᲘᲜᲔᲗ ᲛᲐᲒᲘᲗᲘᲗ?

—ᲐᲠᲐ!

—ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐ ᲬᲐᲛᲝᲡᲗᲥᲕᲘᲗᲗ?

—ᲐᲠᲐ

—ᲐᲰᲐ ᲠᲐ ᲔᲥᲛᲔᲜᲘᲗᲗ. ᲘᲙᲘᲗᲮᲔᲜ, ᲓᲐ ᲡᲐᲥᲔ ᲣᲒᲕᲘᲐᲜᲘ, ᲣᲕᲐᲠᲒᲘᲡᲘᲗ, ᲞᲐᲡᲣᲮ ᲔᲣᲚᲝᲤᲐᲗ.

ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲗᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ ᲛᲘᲐᲯᲣᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ, ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲘᲜᲘᲓᲘᲡᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲡᲮᲕᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲕᲔᲠᲐᲡ ᲒᲐᲘᲒᲝᲜᲔᲑᲔᲜ ᲓᲐ ᲮᲝᲛ ᲣᲮᲝᲛᲝᲓ ᲨᲔᲡᲬᲣᲮᲓᲘᲜᲔᲜ ᲛᲐᲨᲘᲜ, ᲮᲝᲛ ᲣᲬᲧᲐᲚᲝᲓ ᲓᲐᲘᲥᲔᲜᲯᲜᲔᲜ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲔᲡ ᲡᲐᲛᲐᲡᲜᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲜᲘ.

ᲓᲐ ᲗᲣ ᲐᲠ ᲓᲐᲣᲤᲘᲥᲠᲓᲜᲔᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ,— ᲗᲣ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡ ᲡᲘᲜᲘᲓᲘᲡᲘᲡ ᲧᲣᲠᲘ ᲐᲠ ᲐᲗᲮᲝᲕᲔᲡ ᲓᲐ ᲘᲛ ᲡᲘᲙᲔᲠᲞᲔᲡ ᲓᲐᲐᲓᲒᲜᲔᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲑᲐᲕᲨᲣᲠᲐᲓ ᲐᲗᲥᲛᲔᲕᲘᲜᲔᲑᲡ: ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲕᲘᲜᲔᲑᲗ ᲠᲐᲪ ᲕᲘᲜᲔᲑᲗ,—ᲛᲐᲨᲘᲜ ᲮᲝᲛ ᲣᲛᲔᲢᲔᲡᲐᲓ ᲨᲔᲕᲔᲡᲬᲣᲮᲓᲘᲗ ᲘᲛᲐᲗᲗᲕᲘᲡ, ᲠᲐ ᲠᲝᲛ ᲒᲣᲚᲘ ᲓᲐᲕᲐᲯᲔᲠᲔᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲒᲛᲝᲑᲔᲚᲜᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲐᲜ ᲫᲛᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲒᲕᲐᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐ!

ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲐ-ᲚᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲘᲥᲐᲓᲣᲚᲝ.

ᲡᲬᲝᲠᲔᲗ ᲓᲐᲡᲐᲚᲝᲪᲐᲕᲘᲐ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲝᲑᲘᲗᲘ ᲔᲐᲭ-ᲙᲐᲪᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲘᲛᲐᲠᲗᲔᲚᲘᲡ ᲨᲣᲥᲜᲔᲓ ᲒᲐᲛᲝᲡᲣᲚ ᲝᲠᲪᲛᲝᲪ ᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚ ᲙᲐᲪᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲒᲐᲐᲑᲔᲓᲔᲜᲘᲜᲐ ᲡᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲒᲣᲚ-ᲐᲨᲤᲝᲗᲔᲑᲣᲚᲔᲑᲛᲐ ᲰᲒᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲕᲐ ᲐᲠ ᲘᲜᲔᲑᲔᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲠ ᲛᲝᲘᲒᲝᲜᲔᲡ, ᲐᲜ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲠᲐᲡ ᲰᲥᲕᲘᲐ, ᲐᲜ ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲝᲑᲐ;

ᲛᲘᲜᲐᲠᲘᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲘᲗᲕᲘᲡ

ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ

29 მაისი, 1879 ᲓᲘᲛ. ᲣᲘᲤᲘᲐᲜᲡ.

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ.

## დღიური

⁂ ჩვენ დაგვავიწყდა მოგვეხსენებინა ის გარდაწყვეტილება თფ. ქალაქის რჩევისა. რომელიც დასდვა ამან გასულ ორშაბათის სხდომაზე. ეს გარდაწყვეტილება შეეხება უფ. მთავარ პოლიციმეისტრისაგან გამოცემულს განკარგულებას, რომ ქალაქში ჩამოსულ ხალხს უეჭველად ყველას ბილეთი ჰქონდესო.
რჩევა სთხოვს უფ. თფილისის ღუბერნატორს,, რომ რადგან ერთობ შეწუხდა მთელი ქალაქის მცხოვრებლებიო, თუ შეიძლება მოსამსახურე დედაკაცები სულ განთავისუფლებულნი პასპორტისაგანაო და მოსამსახურე კაცებს კი რამდენიმე თვე ვადა მიეცესთო ბილეთის წარმოსადგენათო.
იმედია უფ. თბილისის ღუბერნატორი ამ თხოვნას ყურადღებას მიაქცევს.

⁂ ჩვენ შევიტყვეთ, რომ ერთი ჩვენი ძველი მწერლობის მოყვარე პირს შეუდგენია კატალოგი ყველა იმ ძველ ხელთ-ნაწერი ქართული წიგნებისა, რაც კი მეცხრე საუკუნიდამ მეშვიდმეტე საუკუნემდისინ დაწერილია. ამ კატალოგში, ამბობენ სხვათა შორის ჩართულიაო ივერიის მონასტრის ძველი წიგნების კატალოგი, აგრეთვე მცხეთისა, დავით-გარეჯისა, პეტერბურღის ბიბლიოტეკებისა და სხ.

⁂ „თფილისის მოამბეში“ დაბეჭდილია შემდეგი აზრი, რომელიც აბხაზებისაგან ამორჩეულ კაცებს მიურთმევიათ საქართველოს ეგზარხოსისათვის:
„ომიანობის დროს ჩვენ ძალად ვიყავით ჩვენის ქვეყნიდამ წაყვანილი ოსმალოს ჯარისაგან. ახლა სოხუმის მაზრის გამგეობას არ უნდა, რომ ჩვენ მიგვიღოს ისევ აბხაზეთში. ბათუმში გვაბრუნებენ და აქედამ კი ოსმალეთში გვისტუმრებენ.
„შიმშილისაგან და ყოველგვარ გაჭირებისაგან შევიწროებულნი, ჩვენ ოსმალეთში უარესს სდევნას და უბედურებას მოველით, რადგან ქრისტიანენი ვართ
„ამის გამო ვითხოვთ თქვენს შუამგომლობას ხელმწიფე ნამესტნიკთან, რომ ნება მოგვეცეს ჩვენს ქვეყანაში დაბრუნებისა. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ერთი საშუალებაღა დაგვრჩენია — მაჰმადის სარწმუნოება მივიღოთ
„ჩვენი მონათვლის ამბავი იმერეთის ეპისკოპოსს მოეხსენება. ჩვენ ვკრთით ერთის წარმოდგენით, რომ იძულებული შევიქნებით, ჩვენი წმ. სარწმუნოება გამოვიცვალოთ:
ამ თხოვნაზე სამას კაცს აქვს ხელი მოწერილი.
ამავე აბხაზების შესახებ დღევანდელ ჩვენს გაზეთში ნახავთ ბათუმიდამ მიღებულ დეპეშას.
ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ უმაღლესი მთავრობა მიაქცევს ბოლოს ყურადღებას ამ მრავალ-ტანჯულ და უბედურ ხალხს და თავის ქვეყანაში დაბრუნებისა და დასახლების უფლებას მოსცემს·

⁂ ჩვენ გვითხრეს, რომ უფ. არშაკ საფარიშვილი აბეჭდინებს თავის ხარჯით უფ. ილია ჭავჭავაძის მოთხრობას „გლახის ნაამბობი.“

⁂ ვანქის უბნელებმა შემოგვჩივლეს, რომ მტკვრის ნაპირი იქ სავსეა ნაგავით, მკვდარი კატებით, ძაღლებით, ცხენებით და სხვ. სიმყრალითაო, იქვე თულუხები წყალს იღებენ მთელი სოლოლაკისთვისაო,—და ყველა ამას კაცი ყურადღებას არ აქცევსო

⁂ ჩვენ ხშირად მოგვდის ხოლმე საჩივარი ქართლის მებატონეთ თ. ციციშვილებზე; დადებულზე მეტს გარდასახადს გვახთევინებენო, განსაკუთრებით ტყის შესახე ვართ იმათგან შეწუხებულიო.

⁂ „თფ. მოამბის“ სიტყვით, წელს სიღნაღის უეზდში თითქმის აღარავინ აღარ დათესა თამბაქოვო, რადგან ვაჭრებმა პირი შეჰკრესო და ერთობ მცირე ფასს იძლევიანო. ლაგოდახში წელს იმის მესამედი თამბაქოც არ არის, რაც არდრე ითესებოდაო.

⁂ გაზეთი „გოლოსი“ გვაცნობებს, რომ, შინაგანი მინისტრის განკარგულებით, 500 ლეკი და დაღესტნელი, რომელნიც ამ ომიანობის დროს აჯანყებისათვის იყვნენ ნოვგოროდის გუბერნიაში დასახლებულნიო, წელს აქედამ პერმის გუბერნიაში უნდა გადაასახლონო.

## ქუთაისის თავად-აზნაურთა კრება

### მეხუთე სხდომა, 25 მაისს.

უფ. გ. ღოღაბერიძემ შემოიტანა წინადადება, რომ სწორი სიების შედგენა მიენდოს მარშლებს. მარშლები ვალდებულნი არიანო, რომ მოუწოდონ ყველა მემამულეებს, შეიტყონ იმათგან ვის რამდენი საკუთრება აქვს და სამუდამოთ იქნება ის სიებიო. თორემ ყოველს წელიწადს ახალი სიების კეთება, ახალი ცნობების შეკრება ძნელია და ბევრჯელაც შეცდომა მოხდებაო.

კრებამ მიიღო ერთხმად ეს აზრი.

კირილე ლორთქიფანიძე. დღეს მარშლების ამორჩევაა და მე მინდა მარშლების შესახებ ორიოდე სიტყვა ვსთქვა. ბევრჯელ გვითხოვია ბევრი რამ და აქამდის ვერ შევიტყვია, რა პასუხს გვაძლევენ ჩვენს თხოვნებზე. პასუხი თუ შევიტყვეთ, ეს უსათუოდ იქნება უარი. რატომ ხდება ეს? მე მგონია მიტომ, რომ ჩვენგან პატივცემულნი პირნი, ჩვენი წინამძღომელნი, ჩვენგან ამორჩეულები, ძალიან ცოტას ჰფიქრობენ თავად-აზნაურობის მდგომარეობაზე! ასე გამოდის, რომ მარტო საკუთარის ინტერესებისათვის უნდათ ჩვენი წინამძღოლობა! თუ ჩვენგან სანდო პირებათ ნაცნობნი არიან, თუ ჩვენ ამოგვირჩევია ისინი ჩვენი საჭიროების შესატყობლად, სადაც რიგია, რატომ არ ცდილობენ ამას? ყოველმა მარშალმა უნდა სდიოს ჩვენს საქმეს, ჩვენს თხოვნას ისე, როგორც უბრალო ვექილი; უნდა ეცადოს ჩვენთვის. მე ამას ვამბობ მისთვის, რომ ჩვენი თხოვნები ნუ იქნებიან მაუდ-ქვეშ ამოდებული, ან უჯრაში დაკეტილნი, არამედ მივიდეს თავის დანიშნულებამდის!

— ბრავო, ბრავო!

დაიწყეს კენჭის-ყრა უეზდის მარშლებზე. ამოარჩიეს:

ქუთაისის უეზდში—თ. ალმასხან ნიჟარაძე (თეთრი 58, შავი 24. უწინდელ მარშალს თ. ნ. წულუკიძეს მოუვიდა თეთრი 55);

შორაპნის უეზდში—უწინდელი მარშალი თ. სვიმონ (სიკო) წერეთელი (სუყველა თეთრი 30);

გურიაში—თ. ვარლამ ერისთავი (17 თეთრი და 9 შავი. უწინდელს თ. ისე გურიელს არ უყრია კენჭი;

რაჭაში—თ. დავით ივანეს ძე წულუკიძე (14 თეთრი და 6 შავი. უწინდელი თ. სვიმონ წერეთელი გააშავეს).

ამოირჩიეს კიდევ დეპუტატათ—ქუთაისის უეზდში თ. კონ. მიქელაძე (უ. ანტონ აბულაძემ იყარა კენჭი, მაგრამ საოცრად გააშავეს).

დღეს მეტი არა ყოფილა-რა. რაცაა ხვალაა. თვითონ გუბერნიის წინამძღოლს უნდა უყარონ კენჭი. ხმებია, ოთხი უნდა გამოვიდეს კენჭის საყრელათო. გაუგებარი მდგომარეობაა: არავინ არ იცის, რა იქნება ხვალ.

### მეექვსე და უკანასკნელი სხდომა, 26 მაისს.

გაიხსნა 11 საათზედ.

დღეს ყველაფერს წესიერება ატყვია: უკანასკნელი დღეა ყრილობისა. ყოველანი ჩუმათ არიან, რაღაცას მოლოდინში. რიგ-რიგათ სხედან მაზრების წარმომადგენელნი და თითო მაზრას თითო მხარე უჭირავს ზალისა. მანდილოსნებს ცალკე აქვთ ადგილები. ამათი რიცხვი დღეს მომეტებულია. ჩვენში მანდილოსნებს ძალიან უყვართ კენჭის-ყრის დღე. სხვა დღეებში და სხდომებზე უფრო ნაკლებათ მიდიოდნენ.

თავმჯდომარემ წაიკითხა სიები და დაუწყეს კენჭის-ყრა სეკრეტარს დავით ქანდელაკს, რომელსაც ამოუვიდა თეთრი 123 და შავი 3.

შემდეგ გათეთრდა სეკრეტრის კანდიდატათ პეტრე იოსელიანი.

თავმჯდომარე თ. ნ. წერეთელი. ახლა იქნება ამორჩევა გუბერნიის მარშლისა და ამის შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ოცი წლის წინეთ მე გამხადეთ თქვენ ბედნიერი და ამომირჩიეთ ამავე თანამდებობაზე... სულ, რასაც ჩემზე ხედავთ, რაცა მაქვს, ეს არის თქვენი წყალობა. თქვენის შეწეობით ნაშოვარი. მე ვერ გამოვთქვამ, ისე დავალებული ვარ თქვენგან და მად-

ლობას გწირავთ. ვეცდები, რომ ყოველთვის გემსახუროთ ერთგულად და თქვენდა სასარგებლოდ... ამას არ მოგახსენებთ, ბატონებო, მისთვის, რომ თეთრი ჩამომიტაროთ, მაგრამ...“

(ამ ადგილიდამ ერთი სიტყვაც ველარ გავიგონე, თუმცა ახლოს ვიჯექი თავმჯდომარესთან; მიზეზი იყო ჩემი მეზობლების ხმაურობა და ჩურჩული. მერე ვიკითხე, როგორ დააბოლოვა-მეთქი სიტყვა, მითხრეს; მაგრამ ვერ ვერწმუნები და რაც მე გავიგონე, იმასა გწერთ).

თ. დიმიტრი ერისთავი. საზოგადოებას სურს, რომ ისევე თქვენ დარჩეთ!

ოთხი-ხუთი კაცი წამოიყვირებს გაცხარებული:—თქვენ დარჩით, თქვენ! ამას თან-და-თან ემატება ხმაურობა და ბოლოს ბევრნი ჰყვირიან: „უკენჭოთ, უკენჭოთ! ერთხმად გირჩევთ, ერთხმად! ბევრნი არ იღებენ ხმას.

თავმჯდომარე მადლობას სწირავს, მაგრამ უკენჭოთ არ იქნებაო!

—კენჭი, კენჭი! გამოისმის ერთი მხრიდგან—

დადგეს კენჭის ყუთი.

ალექ. წულუკიძე. რადგან ჩვენ ვითხოვეთ გულწრფელად მაგის დარჩენა, რაღა საჭიროა მაუდის გადაფარება? ახადეთ მაუდი და ყველამ გამოცხადებულად ჩააგდეთ.

—ახადეთ, ახადეთ! შეიქნება ყვირილი.

გიორგი ლოლაბერიძე. არ იქნება ახდა, დახურული კენჭის-ყრა უნდა იყოს კანონის ძალით.

მაუდი აღარ ახადეს, მაგრამ პირველმა, რომელიც მივიდა კენჭის ჩასაგდებათ გადახადა, ჩააგდო თეთრში და დასტოვა გადახდილი; მერმე მეორე, მერმე მესამე სულ გამოცხადებულად ყრიან თეთრებს; ხუთმა-ექვსმა გადააფარეს, ჩააგდეს კენჭი და მერმე ისევ ახადეს; ასე რომ ახსნილი კენჭის ყრა იყო.

ანტონ ლორთქიფანიძე: რაღა საჭიროა ყუთი, შეიტანეთ ვაქო ორი საინი, დადევით სტოლზე აგერ და ჩაყარეთ კენჭები!

—ღმერთმა ხომ იცის შავში მინდა, მარა ახლა რაღა ვქნა! გამოისმის ერთი ჩემი მეზობლისაგან.

შვიდი-რვა კაცი გავიდნენ კრებიდამ: „ჩვენ მაგას თავის დღეში არ ჩაუგდებთ თეთრსო და რადგან ვხედავთ, რომ ასე იეზუიტურ მოქმედებით თეთრდებაო შავს რაღაზე ჩავაგდებთო! ჩვენი შავი არაფერს უზამსო!“

თ. ირაკლი ლორთქიფანიძე. ყმაწვილებო, რათ სწუხხართ?—ვისაც შავი გინდათ ჩააგდეთ. ხელი არ უნდა აგიკანკალდესთ: საითაც გინდათ იქით ჩააგდებ!თ

—კი მარა, გამოცხადებულად არ ჩავაგდებ სწორეთ შავს. მე დალოცვილო, ხომ უყურებ, ქე თეთრდება და მერე რომ დამჭირდეს! ხომ მიწაში გამძვრენს

თ. ზურაბ აბაშიძე. (იღებს კენჭს და თ. ნესტორ წერეთელს მიუბრუნდება). არ მინდოდა თეთრის ჩაგდება, მაირამ მეტი რა უნდა ვქნა:

ამ ნაირათ გათავდა კენჭის-ყრა. დაითვალეს და გამოვიდა 133 დეთრი და 2 შავი. შია და მილოცვა, რასიკვირველია.

—აბა, თუ მიხვდი, რატო მოახერხეს ახდილი, კენჭის ყრა? მკითხავს ერთი, როცა ყველაფერი გათავდა.

—ვერ მივხვდი.

—აი რატომ: წუხელის ბევრი მოისყიდეს და დააფიცეს და უნდოდათ შეეტყოთ მოსყიდულება თეთრს ჩაუგდებდნენ თუ არა!

# უცხო ქვეყნები

## ინგლისი და ავღანი

ინგლისურს გაზეთებში დაბეჭდილია მორიგების პირობა (ტრაქტატი), რომელიც ინგლისის მაიორს კავანიარს შეუკრავს ავღანის ემირთან. უმთავრესი მუხლები ამ პირობისა არიან შემდეგნი:

მუხლი 1. ინგლისს და ავღანს შორის შემდეგში უნდა იყვეს კეთილი განწყობილობა და მეგობრობა;

მუხლი 2. ავღანის ემირი არ დასჯის იმ თავის ქვეშევრდომებს, რომელთაც ომის დროს ინგლისის მხარე დაიჭირეს;

მუხლი 3 ავღანის ემირი ვალდებულია, რომ თავის გარეშე საქმე ინგლისის რჩევითა და ხელმძღვანელობით განაგოს; ინგლისი დაეხმარება ავღანს გარეშე მტრის წინააღმდეგ;

მუხლი 4. ავღანის სატახტო ქალაქს კაბულში და აგრეთვე ზოგიერთს სხვა ქალაქებშიაც იცხოვრებენ ინგლისის ელჩები;

მუხლი 5. კურამას, პიშინას და სიბის მაზრებს გარდა, ინგლისი დაუბრუნებს ავღანს ყველა იმ მიწებს, რომელიც ამ ომიანობის დროს დაიპყრეს; და ამ ზემოხსენებულ მაზრების შემოსავალიც, რაც გამგეობაზე საჭირო გასავალს გარდაემატება, ინგლისი ვალდებულია ავღანს დაუბრუნოს. ამას გარდა ინგლისი აძლევს ავღანის ემირს წელიწადში შემწეობას ერთ მილიონ მანეთამდინ.

ინგლისის, ინდოეთსა და ავღანს შუა ახალი სამზღვრების გასაყვანათ ინგლისისა და ავღანის შეერთებული კამისია იქნება დანიშნული.

ამ ნაირად ინგლისსა და ავღანს შუა ამ ჟამად ყოველი ბრძოლა და განხეთქილება მოისპო. ინგლისმა, უეჭველია, ამ ომის წყალობით, მიაღწია თავის საწადელს, რომ თავის ინდოეთის სამზღვრები გაიმაგროს რუსეთის წინააღმდეგ.

## საფრანგეთი

ნაციონალურ კრების დეპუტატმა კლემანსომ შეიტანა კრებაში წინადადება, რომ, როდესაც ბლანკის ამორჩევის თაობაზე იქნება ჩვენს კრებაში სჯა, იმ დროს ეს ტუსაღი განთავისუფლებული იქმნეს სატუსაღოდამაო. სამინისტრო წინააღმდეგი იყო ამ წინადადებისა და კრებამაც, ხმის უმეტესობით, სამინისტროს აზრს დაეთანხმა.

# რუსეთი

## ტეკინის ლაშქარი

თეკეს თურქმენების წინააღმდეგ, როგორც მოგეხსენებათ, რუსეთმა გაგზავნა ღენ. ლაზარევი 18,000 ჯარით, რომელიც ამ ჟამად მოგროვილია კასპიის ზღვის ნაპირზე ჩიკიშლიარში. ამ ჯარის შტაბის უფროსად დანიშნულია პოლკოვნიკი ბუტურლინი, ქვევითა ჯარის უფროსად—ღენ.—მაიორი ბორხი, ცხენოსანი ჯარის უფროსად—ღენ.-მაიორი თ. ვიტგენშტეინი.

ეს ჯარი, როგორც ლონდონის გაზეთს „დეილ ნიუსში“ იწერებიან, ამ ივნისის პირველ რიცხვებში უნდა გასულიყო ჩიკიშლიარიდამ. ამავე გაზეთის სიტყვით, ღენ.-ადიუტ. ლაზარევს ჰყავს სულ: 16 ბათალიონი ქვევითა ჯარი, 2,800 ცხენოსანი და 36 ზარბაზანი. აქლემები და სხვა ყველაფერი, რაც ჯარის სურსათისა, ავეჯულობის, თუ სამხედრო მასალების გადასაზიდავად საჭიროა, ყველაფერი ბლომათა აქვთ რუსის ჯარსაო. ჯარის მეიჯარადრედ არის თფილისის გამოჩენილი მეიჯარადრე ანტონ ყორღანოვი.

# განცხადებანი

იყიდება 1800 მანეთათ პატარა სახლი თავის ადგილის მიწითა ქ. თფილისში, პუკიაში 9 უჩასტკაში, ალექსანდროვსკის ქუჩაზე № 21,—რა პირობებითაც შეიძლება იქვე შეიტყოს მსურველმა პატრონის სოფიო ელიაზოვისაგან.

(3—1)

## ქუთაისის ქალაქის გამგეობისაგან

ქუთაისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ ქალაქის რჩევის გარდაწყვეტილებით, მომავალ ივნისის 18-ს დანიშნულია, ქალაქის სასამართლოში, გამგეობის თანდასწრებით, ვაჭრობა, ქალაქის საკუთრების ხუთი ნაკვეთი ადგილისა: ორი იმათგანი—პირველი სივრცით 124 ოთხ-კუთხი საჟენი და მეორე—175 ოთხ-კ. საჟ. იმყოფების მიხაილოვის ხიდის მახლობლათ, მესამე—700 ოთხკ. საჟ. პარლოვის ქუჩაზედ, მეოთხე სახელდობ „წყალთაშუა“—683 ოთხკ. საჟ. და მეხუთე კახიანოურში (ქალაქის გარეთ) 1695 ოთხკ. საჟენი.

ვაჭრობა დაიწყება დილის 11-ს საათზე, ხოლო გათავდება ნაშუადღევის 2-ს საათზე. (3—2)

## თფილისის ქალაქის გამგეობისაგან

**თფილისის ქალაქის გამგეობა** საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ წლის 6 ივნისს, იმის თანდასწრებით, იქნება ვაჭრობა (ტორგი) ხუთის წლით არენდით მიცემაზედ ქალაქის მიწისა, რომელიც არის სივრცით 656 ოთხ-კუთხი საჟენი და რომელიც მდებარებს ქალაქის მეორე განყოფილების მე-10 უჩასტკაში მტკვრის პირველ ჩასავალთან, თ. ერისთვის სახლის პირ-და-პირ, შემდეგს სამზღვრებში: ჩრდილოეთით—ვარანცოვის წყლის-პირა ქუჩა, აღმოსავლეთით—მდ. მტკვარი და დასავლეთით ისარლოვების ადგილი.

(3—2)

---

**თფილისის ქალაქის გამგეობა** ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ მდგომარე 1879 წლის განმავალობაში იქნება ხელ-ახლად გაკეთებული (რემონტი) შემდეგი ქუჩები, სულ 13,000 ოთხ-კუთხ საჟენამდინ:

1) კოჯრის ქუჩა, 2) ნაგორნის ქუჩა, (რტიშჩევისა და ბულოვიჩის ქუჩებს შუა და ბანოვისა და ველიამინოვის ქუჩებს შუა), 3) რტისჩევის ქუჩა (ამალლების ქუჩამდინ), 4) ამალლების ქუჩა (ქალაქის მთავარ არხის სათავემდინ), 5) კონსულის ქუჩა, 6) ბანოვის (ბალის ქუჩიდამ ნაგორნამდინ), 7) კამენდანტის, 8) ლაბორატორიის (სოლოლაკის ქუჩიდამ ქალების ინსტიტუტამდინ), 9) საპიორის ქუჩა, 10) დიდი ვოდოვოზნის, 11) ბარონის (ატამანის ქუჩიდამ ბაზრის ქუჩამდინ), 12) პოლიციის ქუჩა, 13) სიონის, 14) მოლინინის ვიწრო ქუჩა 15) დიდი მრუდე ქუჩა (პურის მოედნიდამ მაედნამდინ), 16) რეუტოვის ქუჩა, 17) ავჭალის, 18) კაროჩნის (მიხაილოვის ქუჩიდამ ელისავეტოპოლის ქუჩამდინ) და 19) ერევნის მაედანი.

ამას გარდა შეკეთდება თხრილები აგრეთვე სხვა ქუჩებისაცა და აგრეთვე ალგეთის ქვის გზაც.

(2—2)

---

ამ მაისის 15-დგან გაღებული იქნება **ქვა-მარილის მაღაზია ქ. გორში და ხაშურში.** გორში—გიორგი რომანოვთან და ხაშურში—ცუცუნია არუწოვთან.

გორში და ხაშურშიაც ქვა-მარილი ყოველთვის იმ ფასად გაისყიდება, რა ფასადაც თფილისში იყიდება.

გრიგოლ ბარამოვი და გიორგი რომანოვი.

(15—11)

---

ქუთაისში

# კ. მესხის წიგნის მაღაზიაში

**ისყიდება შემდეგი წიგნები:**

1) **იტყვანი და მოძღვრებანი**—თქმულნი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის მიერ. ფასი 1 მან. და 50 კ.
2) **იგივე**, უკეთესს ქაღალდზე დაბეჭდილი. ფასი 2 მან.
3) **რუსული ენის დასაწყისი კურსი ქართველთათვის** (Практическій начальныйс куръ рус. языка для друзинъ)—შედგენილი გ. კ—შვილის მიერ. ფასი—60 კაპ. ვინც 20 წიგნზე მომეტებულს იყიდის, ეგზემპლიარი ღირთმობა 50 კაპეიკად.
4) **დედა ენა**—ი. გოგებაშვილისაგან, 30 კ.
5) **სიბრძნე სიცრუის წიგნი** ფასი — — — — —50 კაპ.
6) **ბუნების კარი**—ი. გოგებაშვილისაგან — — — — 70 კაპ.
7) **პატარა ბიბლიოთეკა**—იმისივე — — — — — — 10 —
8) **ლოცვანი**, შედგენილი მღვ. ღამბაშიძისაგან — — — — 20 —
9) **ნინო**, მოთხრობა თ. რაფ. ერისთვისა— — — 15 —
10) **თამარ ბატონიშვილი**—დრამა 5 მოქმ. — — — — 30 —
11) **არანკა**, პოემა გ. წერეთლისა — — — — — — 20 —
12) **სამზარეულო**, ბარ. ჯორჯაძისა — — — — — 50 —
13) **ყარამანიანი**—პირველი ექვსი წიგნი— — — 30 კ. და 40 კაპ.
14) **რძალი მული და მაზლიკები**—კომ. თუთაივისა— — — 30 —
15) **ქართული კალენდრები** 15—
16) **სახარება** — — — 25—
17) **„ბუტიაობა“** ვოდევილი აკაკისა — — — — — 20 —
18) **„ვაი ჭკუისაგან“** კომედია გრიბოედოვისა, ნათარგმნი გ. წინამძღვაროვისაგან — — — — 40 —
19) **სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი** — — — — 30 —
20) **მგოსანი—ლექსები**— 20 —
21) **ანუკა ბატონიშვილი** 20 —

აქვე ისყიდება ყოველნაირი სახელმძღვანელო წიგნები რუსულს ენაზე კარტები, ატლასები, კალენდრები, რვეულები, კარანდაშები, მელანი, ქაღალდი, სურათები საქართველოს მეფეებისა და სხვ. და სხვ.

**სასოფლო შკოლებს ყოველგვარი წიგნები მიეცემა ნაკლებ ფასათ'**

მაღაზია იმყოფება მიხაილოვის ქუჩაზე, ხარაზოვის სახლებში კლუბის ქვეშ.,

---

უფ. გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და აგრეთვე ქუთაისში—უფ. კ. მესხის მაღზიაში **ისყიდება**

# „ვაი ჭკუისაგან“

კომედია ოთხ მოქმედებად გ რ ი ბ ო ე დ ო ვ ი ს ა. ნათარგმნი გრ. ა. წინამძღვაროვის-მიერ.

**ფასი—ექვსი შაური**

| რკ. გზა. | დილა. | | სალამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . . | 9 | 21 | 5 | 18 | მ. | კაპ. | მ. | კაპ. |
| მცხეთა . . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 85 | - | 44 |
| გორი . . . . | 11 | 58 | 9 | 43 | 3 | „ | 1 | 53 |
| ხაშური . . . | 1 | 29 | 11 | 57 | 4 | 73 | 2 | 42 |
| სურამი . . . | 1 | 44 | | | 4 | 90 | 2 | 61 |
| ყვირილა . . | 5 | 49 | | | 7 | 21 | 3 | 69 |
| რიონი . . . | 6 | 57 | | | 8 | 44 | 4 | 31 |
| სამტრედია . | 7 | 51 | | | 9 | 66 | 4 | 93 |
| ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 10 | 71 | 5 | 47 |
| ფოთი . . . | 9 | 50 | | | 12 | 24 | 6 | 26 |
| ფოთი . . . | 9 | 3 | | | | | | |
| ახალ-სენაკი | 10 | 14 | | | 1 | 53 | - | 78 |
| სამტრედია . | 11 | 5 | | | 2 | 61 | 1 | 33 |
| რიონი . . . | 12 | 13 | | | 3 | 84 | 1 | 97 |
| ყვირილა . . | 1 | 18 | ღამე. | | 5 | 3 | 2 | 56 |
| სურამი . . . | 5 | 12 | 1 | 10 | 7 | 34 | 3 | 74 |
| ხაშური . . . | 5 | 39 | 1 | 37 | 7 | 51 | 3 | 84 |
| გორი . . . . | 7 | 5 | 4 | 8 | 9 | 24 | 4 | 73 |
| მცხეთა . . . | 8 | 50 | 6 | 59 | 11 | 39 | 5 | 82 |
| თფილის . . | 9 | 31 | 7 | 56 | 12 | 24 | 6 | 26 |

| ტელეგრაფი | მან | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში. . . . . . . . . | — | 0 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში. . | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში . | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . . . | 3 | 75 |

**ფოჩტა**

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსსეთს— ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისკენ— ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პ რასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ლია წიგნის . . . . . . . . | 3 |
| დაბეჭდილის (ხმით მისხალი) . | 8 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 29 მაისს. | | |
| ფქვ. თეთ. ბანჯიხა, ფთ. | 2 | — |
| ფქვილი წითელი . . . | 1 | 60 |
| ქერი ფუთი . . . . . . | 1 | 20 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 8 | 60 |
| — ამერიკისა, ფუთი . . | 9 | 50 |
| გაპენტილი ბამბა ფუთი. | 10 | 60 |
| მატყლი თუშური ფუთი. | 6 | 50 |
| — თარაქამისა ფუთი . . | 3 | 80 |
| აბრეშუმი ნუხური სტ . | 2 | 10 |
| ქონი, ფუთი . . . . . | 5 | 80 |
| ქონის სანთელი ფუთი . | 7 | 60 |
| სტეარინის სანთელი, ფთ. | 12 | 40 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 81 |
| — ცხვრისა, ლიტრა . . | 1 | 8 |
| სპირტი ვედრო . . . . | 4 | 50 |
| შაქარი, ბროლ. ფუთი . | 7 | 20 |
| — ფხვნილი ფუთი . . . | 5 | 70 |
| ყავა გრგვილი, გირვ . . | — | 60 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთი | 11 | 80 |
| თამბაქო, ხაშულო ფთ. | 6 | 60 |

**თფილისის სამკურნალო.**

ერევნის მაედანზე, წ. ნამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

**ორშაბათს:** ვერმიშევი და ბარ. ლევიჩი—შინაგ. ავათ., ქიურჩარიანცი—ქალის ექიმი და საშვილოსნოს ოპერაციები.

**სამშაბათს:** ვერმიშევი—შინაგ. ა. ბახუტოვი—საბებიო და ბავშვის. პეუნოვი—თვალის.

**ოთხშაბათი:** ვერმიშევი შინაგანი ავათმყოფობის.

**ხუთშაბათს:** ვერმიშევი—შინაგ., ქიურჩარიანცი—სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

**პარასკევს:** ვერმიშევი—შინაგ., ა. ბახუტოვი—საბებიო, ქალისა და ბავშვების.

**შაბათს:** ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

*Дозволено цензурою. Тифлисъ 31 мая 1879 г. Типографія Меликова.* გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედ. ს. მესხი.